

დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის წინაშე მდგარი  
გამოწვევები და პრობლემები

თათია ბუნტური

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მერაბ ლაბაძე, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

## განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სახელი, გვარი თათია ბუნტური

ხელმოწერა



თარიღი: 27.06.2016”.

## აბსტრაქტი

შესავალში დასაბუთებულია სადისერტაციო ნაშრომის თემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია კვლევითი მიზნები და ძირითადი ამოცანები, დასაცავად გასატანი დებულებები და მათი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია ფინანსთა სამინისტროს ელექტრონული სისტემა, მისი განვითარების ეტაპები, სისტემის დანერგვით გამოწვეული ცვლილებები, ელექტრონული ადმინისტრირება, ელექტრონული სერვისები და დოკუმენტები, საფოსტო გზავნილების ელექტრონული დეკლარირება, ელექტრონული დოკუმენტბრუნვა, დაჩქარებული მომსახურება.

მეორე თავში განხილულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ელექტრონული ბრუნვის სისტემა, მისი ისტორია და განვითარების ეტაპები, დანერგვის პრაქტიკა და არეალი, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული მხარდაჭერა.

მესამე თავში განხილულია შინაგან საქმეთა სამინისტროს დოკუმენტბრუნვის სისტემა, მისი ფუნქციონირება, გავრცელების არეალი, დანერგვის პრაქტიკა, განსხვავება დოკუმენტბრუნვის სისტემებს შორის, მათი თავსებადობა და დანერგვის ტენდენციები.

ნაშრომის ბოლოს ავტორი აკეთებს მთლიანი თემის ანალიზს და საქართველოში არსებული დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემების წინაშე მდგარი გამოწვევების შეჯამების საფუძველზე, გვაძლევს ერთგვარ დასკვნას და მისეულ ხედვას არსებული საკვლევი თემის შესახებ.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** დეს - დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა.

## **Abstract**

The introduction substantiates the topicality of the subject of the thesis, formulates the research goals and basic objectives, provisions to be maintained and their practical importance.

The First Chapter of the thesis reviews electronic system of document flow (e-document) of the Ministry of Finance, stages of development of the system, changes caused by introduction of the system, its electronic administration, e-services and documents, e-declaration of postal parcels, e-document flow, quick service.

The Second Chapter reviews e-document system of the National Agency of Public Registry, its history and development stages, introduction practice and area, e-support of document flow.

The Third Chapter reviews the e-document system of the Ministry of Internal Affairs, how it functions, the areas it covers, practice of its introduction, differences among e-document systems, their compatibility and trends revealed during their introduction.

At the end of the thesis the author analyzes the thesis as a whole and, on the basis of summing up of the challenges that the e-document system faces in Georgia, makes a conclusion and presents her vision on the topic.

**Key words:** EDMS – Electronic Document Management System.

## მადლობა

მადლობას ვუხდით მუდმივი ყურადღებისა და ფასდაუდებელი შენიშვნების, უაღრესად სასარგებლო რჩევებისა და ხანგრძლივი შინაარსიანი საუბრებისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელს – პროფესორ მერაბ ლაბაძეს.

ასევე მადლობას ვუხდით ჩატარებული ინტერვიუებისა და საინტერესო მსჯელობისთვის ქ-ნ ნანა იანტელიძეს - საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველოს უფროსი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და ქ-ნ ეკატერინე მელაშვილს - წამყვანი ანალიტიკოსი, კვლევისა და სისტემური ანალიზის დეპარტამენტი, სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დიდი მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ტექნიკური დახმარებისთვის.